ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2660430

ნომერი: AR1409489

თარიღი : 31.05.2016

გაცემის თარიღი : 24.06.2016

გაცნობის თარიღი : 27.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოტე მარჯანიშვილის ქუჩა N29გ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დიმიტრი ბოჭორიძე პ/ნ 20001009456
- თელავი ნ.ვაჩნაძის ქ. N 4

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 31/05/2016 წ. #

AR1409489 განცხადებით მომართა დიმიტრი ბოჭორიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებაში დაშვებული ხარვეზის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებით ქ. თბილისში, მარჯანიშვილის ქ. N29–ში, შპს "ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 აპრილიდან 2017 წლის 18 დეკემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებაში არასწორად დაფიქსირდა ცალკეული ფართების მაჩვენებლები, კერძოდ, საერთო ფართობი 5311.8 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 5310,7 კვ.მ.–ს, დამხმარე ფართობი 499.0 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 418,1 კვ.მ.–ს, საზაფხულო ფართობი 743.1 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 743.5 კვ.მ.–ს, კომერციული ფართობი 473.5 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 560.6 კვ.მ.–ს, ავტოსადგომის ფართობი 430.6 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 419,9 კვ.მ.–ს, ხოლო კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობი 1357.7 კვ.მ.–ს ნაცვლად შეადგენს 1360,7 კვ.მ.–ს.
დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, დაადგინდა, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შესაბამისობაშია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტთან.
ამასთან, განმცხადებელი ითხოვს 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებით შეთანხმებული გეგმების +7.65, +10.95, ±0.00, და -3.30 ნიშნულების ჩანაცვლებას შესწორებული გეგმებით.
განმცხადებლის მიერ, 31/05/2016 წ. # AR1409489 განცხადებაზე 2016 წლის 1 ივნისის (AR1122143MS) შეტყობინებით გადმოგზავნილ იქნა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის იდენტური +7.65, +10.95, ±0.00, და -3.30 ნიშნულების გეგმები, იდენტურ ფორმატში შესწორებული ფართების დაფიქსირებით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ამდენად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკურ–ეკონომიკური ხარვეზის გასწორების თაობაზე და 31/05/2016 წ. # AR1409489 განცხადებაზე (01.06.2016; AR1122143MS) შეტყობინებით წარმოდგენილი გეგმების ჩანაცვლება.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებაში და საერთო ფართობად დაფიქსირდეს 5310,7 კვ.მ, დამხმარე ფართობად – 418,1 კვ.მ., კიბის უჯრედის და სადარბაზოს ფართობად – 1360,7 კვ.მ. კომერციულ ფართობად 560,6 კვ.მ., საზახულო ფართობად 743.5 კვ.მ. ავტოსადგომის ფართობად 419.9 კვ.მ.
2. სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებაში მითითებული დანარჩენი ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლები დარჩეს უცვლელი;
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებით შეთანხმებული +7.65, +10.95, ±0.00, და -3.30 ნიშნულების გეგმები ჩანაცვლდეს 31/05/2016 წ. # AR1409489 განცხადებაზე (01.06.2016; AR1122143MS) შეტყობინებით წარმოდგენილი გეგმებით. სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებით შეთანხმებული დანარჩენი გეგმები დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 14.04.2016 წ. №2513546 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას N7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან 1 თვის ვადაში.